

საქართველოს პარლამენტის აპარატი
რეგისტრაციისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილება
შემოს. № 2265
28.02. 2011წ. ფურც. 10
განკვეთი
მისაღების ტ. 281308

-8/96. 28.02.2011.

თარიღი: 28 თებერვალი 2011 წ.
მოდელი: ხელმოწერა
საქმისწარმოების სამმართველო (კანცელარია)

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და
კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი გაბაშვილს

ასლი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ბატონ დიმიტრი შაშკინს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის
სამართლებრივ შენიშვნებსა და განმარტებებს, საქართველოს მთავრობის (საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს) მიერ „ზოგადი განათლების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ინიცირებულ
კანონპროექტებთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად იხილება საქართველოს პარლამენტის
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენს მიერ მოწოდებული შენიშვნები.

დანართი 9 ფურცლად.

პატივისცემით,

მაია კობახიძე
სპმთპ-ის პრეზიდენტი

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების
შეტანის თაობაზე წარდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და
მოსაზრებები

4. მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე და ამ მიზნით კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გააფორმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან მომსახურების ხელშეკრულება. საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მომსახურება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.“

მოსაზრება: მიგვაჩნია, რომ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მისასაღებელია ის ფაქტი, რომ კერძო სკოლა უფლებამოსილია და არა ვალდებულია გააფორმოს მანდატურის სამსახურთან მომსახურების ხელშეკრულება. კერძო სკოლებში მანდატურების შესვლა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და თავად სკოლის არჩევანი, მათ თავად უნდა გადაწყვიტონ საკუთარ სკოლაში როგორ უზრუნველყონ წესრიგი და უსაფრთხოება. კერძო სკოლებში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ძირითადად კერძო დაცვაა, რომელსაც ადმინისტრაცია სკოლის ხარჯებით ქირაობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობენ კერძო სკოლები, რომლებსაც განსაკუთრებით რთულად აღსაზრდელი ბავშვების პრობლემა არ აქვთ და ისინი სკოლის შიდა პრობლემების გადაჭრას თავად ამჯობინებენ. ყველსათვის გასაგებია ის, რომ მანდატურები სკოლაში მხოლოდ დაცვის ფუნქციას არ ასრულებენ. ამასთან ერთად ისინი მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების დისციპლინასაც აკონტროლებენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სკოლის დისციპლინა შიდა პროცესია და ამის კონტროლი უპირველესად სკოლის ადმინისტრაციის მოვალეობაა. საჯარო სკოლებში მანდატურის შეყვანა მართებულია, რადგან იქ ბავშვებისა და შესაბამისად კლასების რაოდენობაც დიდია. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მათ უნდა მიეცეთ ამ კუთხით არჩევანის თავისუფლება. კერძო სკოლის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია კერძო სკოლის დავალდებულება გადაუხადოს ხელფასი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ინსტიტუტს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დაისვას სრულიად ლეგიტიმური კითხვები: როგორც

დაცვის, ასევე დისციპლინის უზრუნველყოფის წესებს კერძო სკოლები თავად განსაზღვრავენ, გაურკვეველი რჩება თუ რატომ უნდა ანდოს კერძო სასწავლებელმა შინაგანაწესის დაცვისა თუ დისციპლინის საკითხის მოგვარება სახელმწიფო ინსტიტუტს, როდესაც იგი დაცვის, პედაგოგებისა თუ ადმინისტრაციის თანამშრომელთა შერჩევის, მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განსაზღვრის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაშიც მანდატურების საქმიანობის ხარჯები კერძო სასწავლებლების მფლობელებს უნდა დაეკისროთ. კერძო სკოლებში წესრიგი უნდა დაარეგულიროს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებმა და არა სახელმწიფოს მხრიდან იძულებამ. მშობელი რეალურად არ გადაიხდის ფულს იმაში, რაც მას არ მოწონს და მიუღებლად მიაჩნია. კერძო სკოლებმა უნდა დაამყარონ წესრიგი თავიანთ სკოლებში, მაგრამ ეს არის მათი პრეროგატივა და არა სახელმწიფოსი. ამასთანავე, საინტერესოა ჩატარდა თუ არა კვლევა კერძო სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებით, გაირკვა თუ არა, ჭირდება კი მანდატურის ინსტიტუტი ყველა კერძო სკოლას, რომელი სკოლებია უფრო პრობლემური. მანდატურის ინსტიტუტები მნიშვნელოვანია იმ კერძო სკოლებისათვის, ვისაც დისციპლინის პრობლემების მოგვარებაში დახმარება სჭირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კერძო სკოლების უმრავლესობას საჯარო სკოლებისაგან განსხვავებით, დისციპლინის საკუთარი ნორმები აქვთ. ამ კუთხით მანდატურის შეყვანა კერძო სკოლებში დელიკატური საკითხია და დაზუსტებას მოითხოვს. ამ საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით, აუცილებელია ჩატარდეს კვლევა კერძო სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის აუცილებლობის შესახებ და ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნეს კერძო სკოლის ხელმძღვანელების მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

1. მე-12 მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის „4“ პუნქტი:

„4. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან დადებული აქვს სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულება, მაშინ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლის დანიშვნა.“

მოსაზრება: როგორც ამ ნორმის ანალიზიდან ირკვევა, კანონპროექტის მიღების შედეგად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცემა შესაძლებლობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან დადებული სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულების საფუძველზე,

აიცივან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინტერესები სასამართლოში. პაინტერესოა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესების დაცვაში თუ შედის მასწავლებელთა ინტერესების დაცვა. აღნიშნული ნორმა ორიენტირებულია მასწავლებელსა და დირექტორს შორის დავის შემთხვევაში, დირექტორების დაცვის უკეთ უზრუნველყოფაზე, თუმცა როგორ აპირებს მასწავლებელთა უფლებებს უკეთ დაცვას სახელმწიფო, ამ ნორმიდან არ ჩანს.

გ) მე-6 მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის „1“ ქვეპუნქტი:

„1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სკოლის გამოსაშვები გამოცდებისაგან თავისუფლდება, ის პირი ვინც ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევის დონეს დაძლევა აკრედიტებულ ან ბრენდირების შედეგად უმაღლესი შეფასების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.“

მოსაზრება: ბრენდირების ძირითადი მიზანია სკოლებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა და მათი წახალისება სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 10 ვარსკვლავის მქონე სკოლის კურსდამთავრებული ავტომატურად მიიღებს ზოგადი განათლების ატესტატს და მისთვის მინიმალური კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდების ჩაბარება არ იქნება აუცილებელი. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული არასწორი მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან, ვინაიდან სკოლისათვის 10 ვარსკვლავის მინიჭება არ უნდა გახდეს მოსწავლისათვის გამოსაშვები გამოცდებისაგან გათავისუფლების საფუძველი. 10 ვარსკვლავიან სკოლაში შესაძლებელია სწავლობდეს დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეც, რომელიც არ უნდა იქნას გათავისუფლებული გამოცდებისაგან. ამასთანავე, თუკი 10 ვარსკვლავის მქონე სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით ჩააბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს, სასახელო იქნება 10 ვარსკვლავიანი სკოლისათვის. ვარსკვლავების რაოდენობა მოსწავლის განათლების აპრიორი მაღალი დონის განმსაზღვრელი არ უნდა იყოს, რადგან შესაძლებელია ბრენდირებულ სკოლაში სწავლობდეს საშუალო ან დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლე.

მ) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „3“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) ამტკიცებს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ფორმას, გაცემის წესს და საფასურს“;

მოსაზრება: საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

ზემოაღნიშნული მოწესრიგება კი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესს, ვინაიდან ზოგადი განათლების სრულად დაფინანსება უნდა გულისხმობდეს ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის უფასოდ მიღებასაც. მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია აღნიშნული დოკუმენტის მისაღებად მოსწავლეების მხრიდან საფასურის გადახდა.

მუხლი 48¹. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

3. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურად შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 20 წლის ასაკიდან, თუ იგი ფლობს სახელმწიფო ენას, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გავლილი აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მოსამზადებელი კურსები, რომლებიც სწავლების სხვა კომპონენტებთან ერთად ითვალისწინებს მოსწავლის/სტუდენტის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებს და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს.

მოსაზრება: არ არის მიზანშეწონილი მანდატურის მინიმალურ ასაკად 20 წელი განისაზღვროს. შეუძლებელია 16-17 წლის ასაკის ბიჭებთან წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეუშვა 20 წლის ადამიანი, როგორი ჩამოყალიბებული და მოტივირებულიც არ უნდა იყოს იგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია მანდატურის მინიმალური ასაკი გაიზარდოს. ოცი წლის ადამიანისათვის საკმარისად რთულია იმის განსაზღვრა, რომ ფიზიკური ძალა ან სპეციალური საშუალება ისე გამოიყენოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური იყოს ან მოახდინოს საფრთხის სწორად იდენტიფიცირება და იმის განსაზღვრა, რომ მას ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელი იქნება მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება.

ასევე საინტერესოა, რამდენად იციან მანდატურებმა სხვადასხვა სასკოლი ასაკის მოსწავლეთა ფსიქოლოგია, რამდენად მოახერხებენ თითოეული ბავშვის პიროვნული, ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებას. სკოლებში მართლაც არსებობს

გრესიული მუხტი, რომელიც ძალზე საშიშია. პიროვნებამ, რომელმაც ეს მუხტი უნდა მართოს, მოსწავლეს კარგად უნდა იცნობდეს. პიროვნება, რომელიც არ იცნობს თითოეული ბავშვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ძალიან გაუჭირდება მათი მართვა.

მუხლი 48³. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობები

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობებია:

ნ) *სპეციალური საშუალებების* გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.

მოსაზრება: მანდატურს იგივე ტიპის უფლებები და მოვალეობები არ უნდა ჰქონდეს, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულების დაცვის თანამშრომელს, სააღსრულებო პოლიციელს ანდა სახემწიფი დაცვის სამსახურის თანამშრომელს. მანდატური უნდა უზრუნველყოფდეს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, იგი არ არის პოლიციელი. მას სკოლაში უნდა ევალებოდეს კონფლიქტებისა და დანაშაულის პრევენცია, ბავშვებისათვის დახმარების გაწევა. მისი ფუნქცია უნდა იყოს მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა და სკოლებში დანაშაულის პრევენცია.

კანონპროექტის 48³-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, მანდატურს აქვს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება. „სპეციალური საშუალებების“ განმარტება მოცემულია მხოლოდ „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლში, რომლის თანახმადაც, სპეციალურ საშუალებებად მიიჩნევა:

ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურჭი), რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შექმნის მიზნით გამოყენებული, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენები, ელექტროშოკური მოწყობილობა.

ვინაიდან, მანდატურის უფლებამოსილება სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით მკვეთრად შეზღუდულია, აუცილებელია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა ზუსტად განსაზღვროს რა საგნების გამოყენების უფლება აქვს მანდატურს, როგორც სპეციალური საშუალებებისა.

სკოლის მანდატურის უფლებების აღწერა სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლის აღწერას ემთხვევა იმ მხრივაც, რომ მისთვის ხელის შეშლა, შეურაცხყოფის მიყენება, მუქარა და წინააღმდეგობის გაწევა დასჯადი ქმედებაა.

სკოლის მანდატურმა უნდა განსაზღვროს, რომ ფიზიკური ძალა ან და სპეციალური საშუალება ისე გამოიყენოს, რომ მიყენებული ზიანი იყოს მინიმალური. ამ მოწესრიგებიდან ჩანს, რომ თითქმის მანდატური ამ უფლებამოსილებას იყენებს დამნაშავეს ან სამართალდამრღვევის მიმართ და არა მოსწავლის მიმართ. ეს მოწესრიგება სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს ბავშვის პირად ცხოვრებას, ასევე ბავშვის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას. აუცილებელია შემოსაზღვროს პირადი გასინჯვისას და ძალის გამოყენებისას მანდატურის უფლებამოსილების ფარგლები, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას სკოლაში დისციპლინის დაცვის მოტივით შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტები. კანონპროექტში საუბარია „პირად გასინჯვაზე“. აუცილებელია კანონში გათვალისწინებულ იქნას კრიტერიუმები, რომლებიც „პირად გასინჯვას“ განასხვავებდნენ ჩხრეკისაგან. არამიზანშეწონილია ის, რომ პირადი გასინჯვის უფლება, ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებების გამოყენება მანდატურებს შეუძლიათ არასრულწლოვნებთან მიმართებაში.

მუხლი 48⁴. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამართლებრივი დაცვა

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და მას იცავს სახელმწიფო. მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური პირისთვის.

მოსაზრება: აღნიშნული ნორმა არის ბუნდოვანი და ნათლად არ განსაზღვრავს კონკრეტულად ვისთვის არის მანდატურის კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულო. ნათელია ის, რომ ყველა ადამიანისათვის ვერ იქნება მისი მოთხოვნის შესრულება სავალდებულო. ამ კუთხით აუცილებელია ნათლად განისაზღვროს მანდატურის მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

2. მე-2 მუხლს „3^პ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^პ) პირადი გასინჯვა – მოქმედება, რომლის მიზანია დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომელიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენა და ამოღება სკოლაში საგანმანათლებლო დაწესებულების

მანდატურის მიერ ან მანდატურის არ არსებობის შემთხვევაში სკოლის უფლებამოსილი პირის მიერ.

მოსაზრება: პირადი გასინჯვა წარმოადგენს ბავშვის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების შემზღუდველ ღონისძიებას. ბავშვთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელია ამომწურავად განისაზღვროს ბავშვის ფიზიკური ხელშეუხებლობის შეზღუდვაზე (პირადი გასინჯვა) უფლებამოსილი პირები, მანდატურის არ არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული წარმოადგენს ბავშვის მიმართ თვითნებური ქმედებების განხორციელების პრევენციას.

„ბავშვის უფლებებთან შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განხორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ამავე კონვენციის მე-19 მუხლი იცავს ბავშვს შეურაცხყოფის, უხეში, თვითნებური და არასათანადო მოპყრობისაგან. იგივე მუხლი აკისრებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ყველა აუცილებელი საკანონმდებლო ზომის მიღების უფლებას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. ბავშვთა უფლებების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ ბავშვთა უფლებების დაცვას მათი იურისდიქციის ფარგლებში.

მუხლი 48⁵. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სოციალური დაცვა

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას.

2. ზიანი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიადგა, მას სრულად აუნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 15 000 ლარისა. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დასახიჩრების ან/და დაინვალიდების შემთხვევაში მას სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

5. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან გამოყოფილ ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისათვის შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გაუთვალისწინებელი სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.

მოსაზრება: იმ მუხლის წაკითხვისას, რომლებიც მანდატურების სოციალურ დაცვას ეხება, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, მანდატურებს მუშაობა ძალიან მაღალი რისკის ჯგუფებთან უწევთ და ამიტომ განსაკუთრებული დაცვაც სჭირდებათ. მაშინ, როდესაც პედაგოგები, რომლებიც ახორციელებენ პედაგოგიურ საქმიანობას სარგებლობენ მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევით და მათი სოციალური დაცვის გარანტიები მანდატურებთან შედარებით უმნიშვნელოა, მანდატურების სარგებლობენ სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევით, მათ უნაზღაურდება ის ზიანი, რომელიც სამსახურებრივი მოვალების შესრულებისას მიაღწა, ასევე დაღუპვის შემთხვევაში, მათ ოჯახებს ეძლევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 15000 ათასი ლარის ოდენობით, დასახიჩრებისას ან დაინვალიდების შემთხვევაში, დაზიანების ხარისხის სიმძიმის შესაბამისად, ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7000 ლარისა. ასევე მათ მიმართ შეიძლება განისაზღვროს სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები. დისბალანსი პედაგოგთა და მანდატურთა სოციალურ დაცვასთან დაკავშირებით ქმნის აზრს, რომ არათანაბარი მიდგომა არსებობს სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ საქმიანობებთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მანდატურებთან შედარებით არანაკლებ საპასუხისმგებლო უფლებამოსილება აკისრია პედაგოგებს. მასწავლებლებს ამ კუთხით მაშინვე უჩნდებათ ლეგიტიმური პროტესტი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აფასებს სახელმწიფო მანდატურების შრომას უფრო ძვირად, ვიდრე პედაგოგების. მასწავლებლებს ევალებათ მომავალი თაობების აღზრდა და მათთვის ხარისხიანი განათლების მიცემა, რომელიც არანაკლებ საპასუხისმგებლო მისიაა, ვიდრე მანდატურებს აკისრიათ. აქედან გამომდინარე, სკოლაში მთავარია მოსწავლე და მასწავლებელი და არ არის მიზანშეწონილი მანდატურებს მათზე გაცილებით მაღალი ხელფასი ჰქონდეთ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის სახელმწიფოს მხრიდან თანხების გაღება ნამდვილად ღირს. თუმცა, ეს არ უნდა აჭარბებდეს თავად სკოლებისთვის გამოყოფილ თანხებს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას ნაკლები შესაძლებლობა გააჩნია იმისა, რომ სრულყოფილად შესძლოს განათლების სისტემის დაფინანსება. თქვენთვის ცნობილია, რომ მანდატურის ხელფასი რამდენჯერმე აღემატება პედაგოგის ხელფასს. სკოლებში საშუალოდ არის სამი მანდატური. მარტო ქალაქის სკოლებში მანდატურის ხელფასებს თუ დავიანგარიშებთ,

ქელიწადში დაახლოებით რამოდენიმე მილიონ ლარს მივიღებთ, ამას უნდა დაემატოს ბიუროკრატიის შენახვის ხარჯები, რაც მანდატურის სამსახურისა და მანდატურების მართვას ხმარდება, ასევე გასათვალისწინებელია ის თანხა, რაც მანდატურების მომზადებას, აღჭურვას და დაზღვევას სჭირდება. რამოდენიმე მილიონი ლარი ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის ნამდვილად დიდია მხოლოდ მანდატურთა ინსტიტუტის შესანახად. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ თანხის ნაწილი პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებლად იქნას გამოყენებული.